მარინე ილურიძე

იბრაჰიმ რაჰიმიზადე ჩავუში მე-16 ს-ის 80-იანი წლების საქართველოს შესახებ

მე-16 საუკუნეში იწყება ოსმალეთის დაინტერესება ამიერკავკასიის ქვეყნებით, მათ შორის საქართველოთი, რომელსაც ამავე საუკუნის ათიანი წლებიდან აქტიურად უტევდა ირანიც. ოსმალეთისა და ირანის აგრესიული გეგმების თანხვედრამ გამოიწვია ირან-ოსმალეთის პირველი (1514-1555) და მეორე (1578-1590) ომი.

ამ ომების მიმდინარეობისა და საერთოდ საქართველო-ოსმალეთის და საქართველო-ირანის ურთიერთობების შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ წყაროების მიხედვით, რომლებიც შედგენილია ამ ომებში მონაწილე, თუ შემდგომ პერიოდში მოღვაწე ავტორების მიერ და თუ გავითვალისწინებთ, რომ მე-16 ს-ის თანადროული ქართული წყაროები ფაქტიურად არაა შემორჩენილი, გასაგებია უცხოენოვანი, მათ შორის აღმოსავლური წყაროების მნიშვნელობა.

წინამდებარე სტატიით გვინდა ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანოთ ცნობები მე-16 ს-ის ოსმალო ისტორიკოსის იბრაჰიმ რაჰიმიზადე ჩავუშის თხზულებიდან „განჯის დაპყრობის წიგნი."[1] რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თხზულება გამოცემული არაა, თუმცა ცნობები ამ ნაშრომიდან გეხვდება თანამედროვე თურქი ისტორიკოსების ი. დანიშმენდის, ბ.ქუთუქოღლუს და ფ. ქირზიოღლუს ჩვენთვის ხელმისაწვდომ შრომებში.

„განჯის დაპყრობის წიგნის" ერთი ნუსხა ინახება სტამბოლის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში – №2372, მეორე – კი თოფქაფის სასახლის ბიბლიოთეკის ერეენის კოშკში – №1296.

თხზულება რვა კარისა და დასასრულისაგან შედგება, მოიცავს 124 გვერდს, თითოეულ გვერდზე 15 სტრიქონია. დაწერილია შავი მელნით, ნასხით. აქა-იქ ადგილებია გამოტოვებული, ეტყობა ავტორი ფაქტების გადამოწმებას და შემდეგ ჩაწერას აპირებდა. ბევრგან ვაწყდებით ყითასა და ღაზელს. ფაქტიურად ყოველი ამბავი ლექსით მთავრდება, რომელიც ერთგვარად რეზიუმეს როლს ასრულებს. ენა საკმაოდ მძიმეა. ჩვენი ავტორის თქმით, მის მიერ შედგენილი მეორე თხზულება „თავრიზის დაპყრობის წიგნი" (ოსმალებმა თავრიზი 1585 წელს აიღეს) „განჯის დაპყრობის წიგნის

[1] თხზულების ფოტოპირები გადმოგვცა ქალბატონმა ც. აბულაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ; იბრაჰიმ რაჰიმიზადე ჩავუშისა და მისი სხვა თხზულებების შესახებ იხ. მ. ილურიძე, იბრაჰიმ რაჰიმიზადე ჩავუშის ცნობები საქართველის შესახებ, მაცნე, ისტორიის სერია, 1993, №1.

დამატება ყოფილა." აი, როგორ აფასებს თავად ავტორი თავის შრომას: „ჭეშმარიტი შეყვარებული გულის მსგავსად ფარისეველობისა და ტყუილისაგან სუფთა და სადა ჩემეულ აღწერას, ზუსტ მონაყოლს გთავაზობთ. შედგენილია თვალთმაქცობის გარეშე და ამ დაწერილებითი აღწერის სურვილი სრულად განხორციელდა." რაჰიმიზადე თავის თავს წარსულში მოღვაწე ყამთააღმწერლების მიმდევრად მიიჩნევს.

თხზულების სათაურიდანვე ჩანს, რომ იგი ეძღვნება ოსმალთაგან განჯის დაპყრობას (1588წელს). საქართველოს შესახებ ცნობები გვხვდება მეორე (გურჯისტანის ვილაიეთის დიდი სიმაგრისა და ხსენებული ქვეყნის გასაღების ლორესა და თუმანისის ციხეების აგების მოკლე აღწერა), მეოთხე (გორზე ლაშქრობის დაწყება) და მეხუთე (გორის ციხისა და ახალციხის ციხის აშენება) თავებში.

როგორც აღვნიშნეთ ოსმალებმა განჯა 1588 წელს აიღეს, მაგრამ რაჰიმიზადე თხრობას უფრო წინა პერიოდიდან იწყებს, კერძოდ 992 (1584)წლით. ცნობა ეხება ქართლის მეფეს სიმონს. ამ წელს ოსმალთა ლაშქრის მთავარსარდალს ფერჰად ფაშას სიმონის დაღუპვა განუზრახავს და გადაწყვეტილება მიუღია, რომ „მურადის ცხენი წყეულ სიმონზე წავიდოდა." საამისოდ საბაბიც გამოუძებნია, ეითომდა „შემცდარ ლევანს მოინახულებდა". ლევანში, ცხადია, მისი ძე ალექსანდრე უნდა ვიგულისხმოთ.

ოსმალთა ლაშქარი სწრაფად მიიწევდა წინ. დმანისთან და ლორესთან მისვლისას ლაშქარი დაფანტულა და ეტყობა საკმაოდაც გაწვალებულა, რომ გასასვლელები ურჩხულის პირთანაა შედარებული. ოსმალებმა დმანისისა და ლორეს ციხეები დაიკავეს, შეაკეთეს და პირველის ბეგლარბეგობა სემენდერ ფაშას და მეორესი კი – ფუთურ ალი ფაშას მიანდეს, ხოლო არზრუმის ბეგლარბეგი გარდაცვლილი მუჰამედ ფაშას ძე ჰასან ფაშა კი თავისი ეიალეთის ლაშქართან ერთად ლორეში იქნა დატოვებული. რაჰიმიზადე ერთხელ კიდევ შენიშნავს, რომ „ხსენებული ციხეების აგება-შეკეთება უვარგისი და პირშავი სიმონისა და ლევანის მოსანადირებლად დასრულდა." დმანისისა და ლორეს ციხეების საბრძოლო მასალითა და სურსათით სრულად მომარაგების შემდეგ ფერჰად ფაშა „უსაფრთხო უბანში არზრუმის ციხეში წასულა."

შერეფ-ხან ბითლისის ცნობით 1584წ. ფერჰად ფაშას შეუკეთებია ლორეს ციხე, იქიდან დმანისს მისულა და ორმოც დღეში ქვისა და თიხისაგან ციხე აუშენებია.[2]

ფერჰად ფაშას მიერ დმანისში ახალი ციხის აგება ფიქსირებულია ასევე 1587წ. 20 ,ოქტომბერს კონსტანტინეპოლიდან ბუდაპეშტში გაგზავნილ ინფორმაციაშიც.[3] რაჰიმიზადე დმანისში ახალი ციხის აგების თაობაზე თითქოსდა არაფერს ამბობს, ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ მისვლისას „ ციხის აგების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს." ოსმალურ წყაროებში სიტყვა „აგებაში" ხშირად შეკეთება იგულისხმება, მაგრამ უფრო ქვემოთ შემდეგ ფრაზას ვაწყდებით: „აჰმედ ფაშა.. ადრე აშენებული დმანისად

---

[2] კ. ტაბატაძე, შერეფ-ხან ბითლისელის ცნობები საქართველოს შესახებ. კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, 2, 1962, გვ.179; Шараф-хан Бидлиси, Шараф-Наме, т.2, перевод, предисловие, примечания и приложения Е.И. Васильевой, М., 1976, ст. 246.

[3] ლაიოშ ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI ს-ში, თბ., 1980 გვ. 153.

სახელდებული ციხის შემოგარენში დაბანაკდა". „ადრე"-ში შეიძლება როგორც ფერჰად ფაშამდე, ისე ფერჰად ფაშას მიერ ახალი ციხის აგება ვიგულისხმოთ, მაგრამ სხვა ციხეების მოხსენიებისას რაჰიმიზადე სიტყვა „ადრე"-ს არსად არ ხმარობს, ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში მას მხედველობაში უნდა ჰქონდეს დმანისში ახალი ციხის აგება.

დმანისში ახალი ციხის მშენებლობაზე საუბრობენ ასევე ბ. ქუთუქოღლუ და ფ. ქირზიოღლუ. სუბჰის, შერეფ-ხან ბითლისის და დონ-ხუან სპარსელის შრომების გათვალისწინებით ბ. ქუთუქოღლუ შენიშნავს, რომ დმანისის ძველი ციხე გასასვლელიდან შორს იმყოფებოდა, არადა შემოგარენისა და თბილისში გასაგზავნი ხაზინის უსაფრთხოებისათვის საჭირო იყო ამ გასასვლელის გამაგრება და ციხეც სწორედ ამიტომ აიგო.[4] ამავე ავტორებს ეყრდნობა ფ. ქირზიოღლუ და წერს, რომ დმანისის ძველი ციხე ჯერ შაჰ თამაზის, შემდეგ კი სიმონ მეფის მიერ იყო დანგრეული და გაეერანებული და ეს იყო ციხის აგების მიზეზი.[5] ორმოც დღეში მშენებლობის დასრულებაზე საუბრობს ი. დანიშმენდიც, მაგრამ რომელი ციხის მშენებლობაზე ამას არ უთითებს.[6]

როგორც ზემოთ ვნახეთ რაჰიმიზადეს ცნობით არზრუმის ბეგლარბეგი ჰასან ფაშა თავისი ლაშქრითურთ ლორეში დაუტოვებიათ, შერეფ-ხან ბითლისის მიხედვით კი ჰასან ფაშა დმანისის მცველად განუწესებიათ.[7]

995 (1587)წ. გაზაფხულზე ოსმალეთმა საბრძოლო მოქმედებები კვლავ განაახლა. მთავარსარდალი კვლავ ფერჰად ფაშაა. იგი 1586 წელს მეორედ იქნა დადგენილი ამ თანამდებობაზე. ქართველები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს და ხშირად ამარცხებდნენ კიდეც. აი, რას წერს ჩვენი ავტორი: „...ხან უსაქმური ყიზილბაში, ხან უზნეო ლეანი (ანუ ალექსანდრე – მ. ი.) და ხან სიმონი იმორჩილებდნენ ოსმალებს". ფერჰად ფაშა 995 წ. დიდი შაბანის 24-ე ხუთშაბათ დღეს (1587წ 30 ივლისი) არზრუმის ციხიდან გავიდა, ყარსის ციხეში დაბინავდა და გადაწყვიტა, რომ „რჯულგამდგარ, ბოროტმოქმედ, არამზადა მანუჩარზე შურს იძიებდა... და ჩერქეზი ისქანდერ ფაშა ზადე აჰმედ ფაშა, რომელიც იმ დროს ჩილდირის ბეგლარბეგი იყო, ყარსის ბეგლარბეგ ხელ ხიზირ ფაშასთან, ყარამანიის დარჩენილ ლაშქართან, ქურთთა კორპუსის ჯარისკაცებთან და კაფიკულუებიდან ზოგიერთ მხიარულ მამაცთან ერთად ხსენებული ურჯულოს თვალისჩინ ახალციხედ სახელდებულ შესანიშნავ ციხეზე გაგზავნა", მაგრამ ოსმალები ახალციხეში არ შეჩერდნენ და დმანისის ციხის შემოგარენში დაბანაკდნენ. რაჰიმიზადე არას ამბობს იმის შესახებ, თუ რატომ არ გაჩერდა მტერი ახალციხეში. შერეფ-ხან ბითლისის თქმით ამ ფაქტს 1584 წელს ჰქონდა ადგილი და ფერჰად ფაშა გაწამებულმა ლაშქარმა აიძულა, რომ განზრახვაზე ხელი აეღო.[8] აქვე რაჰიმიზადე გვაუწყებს, რომ დმანისის ციხის შემოგარენში დაბანაკების შემდეგ „...ისლამის ლაშქარი თუ რომელიმე მხარეში ბუნტს შენიშნავდა ამაზე ზრუნავდა და ამბოხებულებს სიცოცხლეს ართმევდა". ოსმალთა ასეთი ქმედების გამო მოწინააღმდეგეთა ნაწილი მორჩილების

---

[4] Kütükoğlu B. Osmalı-İran sıyası münasebetleri, I, 1578-1590, İstanbul, 1962, გვ.137.
[5] Kırzıoğlu F. Osmanlıların Kafkas Ellerini Fethi (1451-1590), Ankara, 1976, გვ. 353.
[6] Danişmend I. Izahlı Osmanlı Tarihi Kronolojisi, İstanbul, ტ.3, 1961, გვ. 76.
[7] ჯ. ტაბატაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.
[8] Шараф-хан Бидлиси, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

გზას დაადგა. დამორჩილებულთა შორისაა მოხსენიებული მანუჩარიც. აი, რას წერს ჩვენი ავტორი:"უხამსი სარწმუნოების მქონე ქალის ძე მანუჩარი წმინდა ისლამით გაპატიოსნდა და როცა უთვალავი წყალობა აღმოუჩინა და განიკითხეს და ძლიერი სამეფო ნიშნით დაიმორჩილეს გამოსაღები და ხარაჯა იტვირთა." ანონიმი ავტორის თხზულებაში „საათაბაგოს დაპყრობა ოსმალთა მიერ" ნათქვამია, რომ 1588 წ. მანუჩარი „...ოსმალთაც დაუზავა და წარავლინა კაცი წინაშე ხუანთქარსა, მოეცა ხუანთქარს ქრისტეანობის ნებართეით ათაბაგობაი და დაიპყრა საათაბაგო".[9] აქ არაფერია ნათქვამი გამოსაღებისა და ხარაჯის შესახებ, მაგრამ თუ მანუჩარისა და ხონთქარის დაზავებას მართლაც ჰქონდა ადგილი, საყიქრებელია, რომ მანუჩარმა ხარაჯის გადახდა იკისრა, რადგანაც ამის გარეშე სულთანთან მორიგება ვერ მოხერხდებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ანონიმი ავტორი ამ ფაქტს 1588 წლით, რაჰიმიზადე კი 1587 წლით ათარიღებს. ვფიქრობთ, აქ ჩვენი ავტორი მართალი არ უნდა იყოს, რადგანაც ალექსანდრესა და სიმონ მეფის ოსმალებთან დაზავებას 1588 წელს ჰქონდა ადგილი და საგულვებელია, რომ მანუჩარიც, რომელსაც სიმონ მეფის დახმარების იმედი ველარ ექნებოდა, ამავე წელს დამორჩილდა მტერს. Mühimme დავთრის მიხედვითაც მანუჩარი 1588 წ. მაგრამ სიმონ მეფეზე ადრე დაზავებია ოსმალოს. როგორც ირკვევა მანუჩარს ოცი ბათმანი აბრეშუმი, ორი ცალი კვერნის ქურქი, ორი ხმალი, ერთი ოქროს ძეწკვი, ერთი შესაფერისი ცხენი, ერთი შარვალი, ერთი ზედატანი და ერთი წამოსასხამი გაუგზავნია.[10]

თხზულებაში რაჰიმიზადე საკმაო ადგილს უთმობს სიმონ მეფეს. მან თავისი მოქმედებებით იმდენად შეაწუხა ოსმალო, რომ სულთნის კარმა 1587 წ. განჯასა და ყარაბაღის მხარეზე გალაშქრება მიზანშეწონილად არ მიიჩნია იმ მოტივით, რომ საჭირო იყო სიმონის თვალყურის დევნება, „...რადგანაც შირვანის ლაშქრობის დაწყებიდან სარწმუნოების ლაშქარს სული გაუმწარა... ხან გვემორჩილება და ხან ამბოხებული და უღმერთოა, ხან კერპთთაყვანისმცემლობას მისდევს და ხან რაფიზიებს ემსგავსება და ხან ისლამის ხალხს დასცინის და ამცირებს". ჩვენი ავტორი სიმონ მეფისა და მისი მოლაშქრეების ქმედებას „ჯადოქრულს" უწოდებს.

995წ. რამაზანის ბოლო დღეს (1587წ. 4 სექტემბერი) ფერჰად ფაშა თბილისის ხიდზე გადავიდა და მდ. მტკვრის ნაპირზე გაჩერდა. შემდგომი სადგომი გორხანე ყოფილა. 11 სექტემბერს, პარასკევს, ოსმალო მთავარსარდალი გორის ციხეში მივიდა, კვირას კი, 13 სექტემბერს უკვე ციხის შეკეთება დაიწყო. „ბეგლარბეგებმა კოშკები, კედლები, გალავნები, თხრილები დაინაწილეს და მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე თევჰიდისა და თექბირის, დიდება ღმერთისა და არა არს ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედია მოციქული მისი-ს შეძახილით შრომობდნენ... და ალეპოს ბეგლარბეგმა ჰასან ფაშამ დაკისრებული მოვალეობა ყველაზე უწინ დაასრულა... მნახველები ამბობდნენ: „ეს ციხე ცის სიმაგრის მსგავსია, თითქოს არც შეკეთებულა და არც შერემონტებულაო". ციხის კეთილმოწყობის დასრულების შემდეგ ერთი დიდი ეკლესიის მეჩეთად გადაკეთება ბრძანეს. ამ საქმიანობას თვალყურს ადევნებდა დევთერდარი ჰასან ეფენდი. 995 წლის შეევალის თვის 28-ში (1587წ. 2ოქტომბერი) სამუშაოს

---

[9] ხელნაწერთა ინსტიტუტი, A ფონდი, №1767, 7v.

[10] Mühimme, L XIV, 266/9 996 წ. შეევალის თვე. იხ. F.Kurzıoğlu დასახ. ნაშრომი, გვ. 372.

დასრულების შემდეგ „ჯგუფი მუსლიმებისა და კრებული მაჰმადიანებისა გაემზადა და ალაჰის ჩრდილ ფადიშაჰის უაეგუსტოეს სახელზე ხუტბა წაიკითხეს". გორის ბეგლარბეგობა ფერჰად ფაშამ ვარაზას ძე მაჰმუდ ხანს უბოძა და „ტრაპიზონის ბეგლარბეგ ჰაიდარ ფაშას ეიალეთის ლაშქართან ერთად დაცვა ებრძანა". აბდულ აზიზ ყარა ჩელები ზადე წერს, რომ მაჰმუდ ხანს ჰუქუმეთის სახით მიეცა საქართველოს მხარე.[11] ეფიქრობთ მასში გორის მხარე უნდა ვიგულისხმოთ. მუსტაფა სელიანიქი მაჰმუდ ხანს ჩერქეზ დირაზის ძედ იხსენიებს.[12] ამის მიზეზი შემდეგი უნდა იყოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გორის დაცვა სოხუმის ყოფილ ბეგლარბეგს ჩერქეზ ჰაიდარ ფაშას მიენდო და სელიანიქმა მაჰმუდ ხანიც, როგორც ჩანს, ამიტომ მიიჩნია ჩერქეზად. რაც შეეხება დირაზის ძედ მოხსენიებას, აქ ადგილი უნდა ჰქონდეს თანხმოვანთა აღრევას. ვარაზა, დირაზი, როგორც ეხედავთ, მხოლოდ ვ არის შეცვლილი დ-თი, რ და ზ თანხმოვნები კი უცვლელია. აქვე შევნიშნავთ, რომ გორთან დაკავშირებული მოვლენები ჩვენთვის ხელმისაწვდომი ოსმალო ჟამთააღმწერლებიდან ყველაზე სრულად იბრაჰიმ რაჰიმიზადეს აქვს აღწერილი.

995 წლის ზულკაადას 5-ში (1587 წლის 7 ოქტომბერი), ხუთშაბათ დღეს ოსმალთა ლაშქარი არზრუმისაკენ გაემართა, გზად კი შეიტყო: „მანუჩარმა წყეულ სიმონს ამბის შემტყობი გაუგზავნაო." სიმონ მეფე მანუჩარის დასახმარებლად მისულა და ოსმალო ღამის თავდასხმებით გაუბეზრებია კიდეც, მაგრამ იძულებული შექმნილა უკან გაბრუნებულიყო, რადგანაც შეუტყობინებიათ: „ვარსკვლავთრაოდენობის ოსმალთა ლაშქარმა გორის ციხეს მიაღწია. შენი მამული და აელადიდება ააოხრა და მოსახლეობა და ახლობლები გაყანტა, დახმარების დრო არ არის, საკუთარ თავს მიხედეო." სიმონ მეფის უკან გაბრუნება მანუჩარს რომ გაუგია, თავზარი დასცემია და ახალციხე მიუტოვებია. „...როგორც ქუხილმა ისე მიაღწია თავის ხალხსა და ახლობლებსო" წერს რაჰიმიზადე. ოსმალომ დიდი „გარჯითა და მცდელობით და უზენაესი ღმერთის წყალობით ერთი დიდი ციხე ააგო". აგებაში რა თქმა უნდა შეკეთება უნდა ვიგულისხმოთ.[13] ახალციხე ისქანდერ ფაშას ეიალეთისათვის შეუერთებიათ, ისქანდერ ფაშა კი, როგორც უკვე აღინიშნა, ჩილდირის ბეგლარბეგი იყო. მტერმა ახალციხის ციხე მცველებითა და პროდუქტით მოამარაგა და გამოსაზამთრებლად კელაე არზრუმისაკენ გაემართა.

996 წ. კურთხეული რამაზანის 29-ე დღეს (1588წ. 22 აგვისტო) ახჩაყალას (ეს ბორჩალოს ახჩაყალაა — მ. ი.) სიახლოვეს მდ. მტკვრის სანაპიროზე დაბანაკებულმა ფერჰად ფაშამ „შეკეთებულ და შერემონტებულ გურჯისტანის ეილაიეთის უდიდეს საბჯენ და ქართველთა გზააბნეული ხაკანის მუდმივ საცხოვრებელ გორის ციხეში დაცვის სამსახურში მყოფი ერთმორწმუნეთა ჯგუფის დღიური ულუფისა და დადგენილი

---

[11] გ. ალასანია, აბდულ აზიზ ყარა-ჩელები ზადეს ცნობები საქართველოს შესახებ. საისტორიო კრებული, VI, თბ., 1976, გვ.104.

[12] გ. ფუთურიძე, მუსტაფა სელიანიქი საქართველოს შესახებ, უნივერსიტეტის შრომები, № 91, თბ., 1960, გვ. 270.

[13] ახალციხის ციხის შერემონტებას გვამცნობენ ასევე ბერი ეგნატაშვილი (ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტ.2, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის ჩვენ, თბ., 1959. გვ.531) მცირე ქრონიკები,

ხელფასისათვის ხაზინისა და პროვიანტის გაგზავნა“ მნიშვნელოვნად ჩათვალა და ეს საქმე არზრუმის ბეგლარბეგ ჰიზირ ფაშას მეთაურობით „ქეთილი თვისებების მქონე“ ალეპოს ბეგლარბეგ ჰასან ფაშას,ახჩაყალას ბეგლარბეგ კიზიკ ხანსა და „მამაცობის ნიშან“ ხაზოს მმართველს მუჰამედ ბეგს დაავალა. სიმონ მეფეს თხრილები გაუკეთებია და სადგომები მტკიცედ ჩაუკეტია, მაგრამ მტრის სიმრავლემ თავისი გაიტანა. როგორც რაჰიმიზადე ჰყვება ოსმალებმა „უძლურთ თავებითა და უწმინდურთა ლეშებით თხრილები გაავსეს. ქართველი ქაფირები თხრილების ამოესებელნი არიან, ამბობდნენ, რომ ქართველებმა საკუთარი თავისთვის ამოთხარეს ორმოებიო.“

996წ. ზულკაადას 28-ში (1588წ. 19 ოქტომბერი) ოსმალო სარიქამიშად წოდებულ სადგომში გაჩერდა და რადგანაც „წყეული ლეკანის დანაპირების მიხედვით განსაზღვრული ხარაჯა არ მოვიდა და საერთოდ უზრუნველობა, სიზარმაცე და სრული აეყიობა გამოიჩინა“ მდ. მტკვარზე გადავიდა და მისი ოლქის აოხრება მოინდომა. ალექსანდრე მეფის „უბედურების ამბით გადავსებულ ყურს ამ ამბავმა როცა მიაღწია სული შეუწუხდა“ და მობოდიშების წერილებითურთ ელჩები და შემდეგ ხარაჯა გააგზავნა, რის გამოც მას „ცოდვა ეპატია.“ როგორც რაჰიმიზადე წერს ალექსანდრეს მიერ ხარაჯის გაგზავნას სიმონზეც უმოქმედია და მასაც გაუგზავნია ხარაჯა და მორჩილება გამოუცხადებია. ოსმალომ მასაც „აპატია ცოდვა.“[14]

ამით ამოიწურება „განჯის დაპყრობის წიგნში“ დაცული ცნობები საქართველოს შესახებ. ამ ცნობების ქართულ, აღმოსავლურ და ევროპულ წყაროებთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ ცნობათა უმრავლესობა დასტურდება სხვა წყაროებში. მიუხედავად ამისა გადავწყვიტეთ რაჰიმიზადეს ეს ცნობები მკითხველისათვის გაგვეცნო, რადგანაც რიგ შემთხვევებში ჩვენი ავტორი, როგორც თვითმხილველი და თანადამხვდური, უფრო სრულად აღწერს მოვლენებს და ასე ერთად თავმოყრილი ცნობები სხვა ავტორებთან არ შეგვხვედრია.

(ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბ., 1968, გვ. 65); სელიანიქი, (გვ. 269) და ყარა-ჩელები ზადე, (გვ. 104.).

[14] სიმონ მეფესა და ფეოლად ფაშას შორის დადებულ ხელშეკრულებას „ქართლის მბრძანებლისადმი გაცემული უაეგუსტოესი ხელშეკრულების პირზე“ დაყრდნობით ასევე 1588 წლით ათარიღებენ მ. სვანიძე და ს. ჯიქია, იხ. მ. სვანიძე, ს. ჯიქია, საქართველო-თურქეთის ურთიერთობის ისტორიიდან, 1588-1590 წწ. მაცნე, №6, თბ., 1966, გვ. 226; ამ ხელშეკრულების თარიღად 1588 წელია მითითებული M. Cezar-ისა და M.Sertoğlu-ს Mufassal Osmanlı Tarihi-ში, ტ.3, Istanbul, 1959, გვ. 1362.

М. А. ИЛУРИДЗЕ

ИБРАГИМ РАХИМИЗАДЕ ЧАВУШ О ГРУЗИИ (80-ЫЕ ГОДЫ 16-ГО ВЕКА)

РЕЗЮМЕ

В статье рассматриваются сведения османского автора 16-го века Ибрагима Рахимизаде Чавуша, зафиксированные в его сочинении " Книга взятия Ганджи."

В "Книге" описаны бои царя Картли Симеона и атабега Манучара против османов и их повиновение в 1588 году.

В источнике встречаются также сведения о посылке царем Кахетии Александром туркам хараджи и т.п.

В отличие от других авторов (Шараф-хан Бидлиси, Мустафа Селяники, Абдул Азиз Кара-Челеби заде, Субхи) Рахимизаде, как очевидец, подробно излагает все факты.